



რისკის შეფასების სამსახური

საქართველოში გარეული და მიუსაფარი ცხოველებიდან შინაური ცხოველების ცოფით ინფიცირების“ რისკის მინიმიზირების რეკომენდაციები

1. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს -სსიპ სურსათის ეროვნულმა სააგენტომ:

ა) შეიმუშაოს პატრონიანი შინაური ხორცისმჭამელი (მალი, კატა) ცხოველების ზედამხედველობის სისტემა, რომელიც უნდა მოიცავდეს:

ა.ა) ცოფის დაინფიცირებაზე და ცოფის დაავადებაზე საექვო ცხოველების აღმოჩენის ან ცოფის დადასტურებული შემთხვევის დროს დეტალურ ეპიდემიოლოგიურ მოკვლევას და ანშგარიგებას.

ა.ბ) ცოფით დაინფიცირებაზე და დაავადებაზე საექვო ცხოველების პათოლოგიური მასალის ლაბორატორიული კვლევისათვის საჭირო პროცედურების გატარებას;

ა.გ) გარეულ მტაცებელ (მგელი, ტურა, მელა) ცხოველში ცოფის დადასტურებული შემთხვევის დროს, დაინფიცირებული პუნქტიდან და საფრთხის ქვეშ მყოფი ტერიტორიიდან, საჭიროებიდან გამომდინარე, სააგენტოს მოთხოვნის და საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ნებართვის საფუძველზე გარეული მტაცებელი (მგელი, ტურა, მელა) ცხოველების გარემოდან ამოღებას და ცოფის დაავადებაზე ლაბორატორიული გამოკვლევის ჩატარებას.

ა.დ) ცხოველის სახეობებისა და მფლობელის/მიმკვდლებლის მიხედვით, ცოფის დადასტურებული შემთხვევის შესახებ, ინფორმაციის მიწოდებას საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრისა და მუნიციპალიტეტის შესაბამისი ჯანდაცვის სამსახურებისადმი;

ა.ე) ცოფის რეზერვუარი და ვექტორი სახეობების დადგენის მიზნით ცოფის ამთვისებელ შინაური ხორცისმჭამელი ცხოველების დადებით პათოლოგიურ მასალაში ცოფის ვირუსის გენეტიკური მრავალფეროვნების შესწავლის დაგეგმარება ორგანიზება და ანალიზი;

ა.ვ) ადამიანის დამზარალებელ ცხოველზე განხორციელებული 10 დღიანი ვეტერინარული ზედამხედველობის შედეგის შესახებ, ინფორმაციის მიწოდებას ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების ორგანოებსა და მუნიციპლიტეტის ორგანოების შესაბამის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახურებისადმი;

ა.ზ) როგორც პატრონიანი ასევე მიკედლებული და თავშესაფარში განთავსებული (მიმკედლებლის, ან თავშესაფრის წარმომადგენლის მომართვის შემთხვევაში) უმეტესად ყურეო ცხოველების ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინაციას;

ა.თ) ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინის მარაგის შექმნას.

ა.ი) ვაქცინირებულ ცხოველებში იმუნური ფონის შესწავლის მიზნით გეგმის შესაბამისად პოსტვაქცინალური კვლევების ჩატარებას;

ა.კ) ადგილობრივი ჯანდაცვის სამსახურებთან ერთად ცოფთან დაკავშირებით მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების კამპანიების ჩატარებას და ცხოველების მეპატრონეების ინფორმირებულობას მათი ვალდებულებების შესახებ;

ა.ლ) შინაური ხორცისმჭამელი ცხოველების იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის წესის პროექტის შემუშავებას;

2. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს - სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიამ:

ა) ცოფზე დიაგნოსტიკის გაუმჯობესების მიზნით განახორციელოს ლაბორატორიის საჭირო სადიაგნოსტიკო საშუალებებით და აპარატურით აღჭურვა;

ბ) განახორციელოს კვლევები ცოფის ამთვისებელ (მათ შორის გარეულ) ცხოველებში მოცირკულარე ცოფის ვირუსის გენეტიკური მრავალფეროვნების შესწავლის და რეზერვუარი და ვექტორი სახეობების დადგენის მიზნით;

3. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტმა, დაცული ტერიტორიების სააგენტომ, ეროვნულმა სატყეო სააგენტომ, ველური ბუნების ეროვნულმა სააგენტომ, ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტმა და აჭარის სატყეო სააგენტომ:

ა) გააძლიეროს ზედამხედველობა გარეულ ხორცისმჭამელ ცხოველებზე ცოფზე საეჭვო ცხოველების აღმოჩენის მიზნით;

ბ) გარეულ ხორცისმჭამელ ცხოველებში პრევალენტობის შესწავლის, მოცირკულირე ცოფის ვირუსის გენეტიკური მრავალფეროვნების შესწავლისა და ცოფის რეზერვუარი და ვექტორი სახეობების დადგენის მიზნით გარემოში მკვდარი ხორცისმჭამელი გარეული ცხოველების აღმოჩენის შემთხვევაში სურსათის ეროვნული სააგენტოსთვის ინფორმაციის მიწოდება

გ) ცოფის ამთვისებელი გარეული ხორცისმჭამელი ცხოველების პოპულაციების ზომის მარეგულირებელი ღონისძიებების განხორციელება;

დ) სურსათის ეროვნული სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე, ცოფზე გამოკვლევის უზრუნველსაყოფად სურსათის ეროვნული სააგენტოსათვის გარეული ცხოველების გარემოდან ამოღების უფლების მინიჭება;

ე) სურსათის ეროვნული სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე, გარეულ ცხოველთა პოპულაციის შესახებ ინფორმაციის მიწოდება;

4. სსიპ -ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულმა ცენტრმა:

ა) შეისწავლოს ჰიდროფობიით ადამიანის გარდაცვალების თითოეული შემთხვევა (მათ შორის დაავადების გამოწვევი ვირუსის ტიპის დადგენის მიზნით). საჭიროების შემთხვევაში შეიმუშაოს დამატებითი ღონისძიებები ჰიდროფობიის ახლი შემთხვევის თვიდან ასაცილებლად და ცოფის პროფილაქტიკაში არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად;

ბ) საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად უზრუნველყოს მოსახლეობაში ცოფის დაავადების მიმართ ცნობიერების გაზრდის მიზნით საინფორმაციო კამპანიების ჩატარება;

გ) სურსათის ეროვნულ სააგენტოს მიაწოდოს ინფორმაცია დამზარალებელ ცხოველზე 10 დღიანი ზედამხედველობის განხორციელების მიზნით, მხოლოდ ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ რეკომენდებულ ცხოველებზე (ძაღლი, კატა);

დ) საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნულ სააგენტოს მიაწოდოს ინფორმაცია ჰიდროფობიის საექვო და/ან დადასტურებული შემთხვევების შესახებ;

5. ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების ორგანოებს, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა:

ა) შეიმუშაონ და დაამტკიცონ მუნიციპალიტეტებში შინაურ ბინადარ ცხოველთა (პატრონიანი, მიუსაფარი, მიკედლებული) პოპულაციების კონტროლის, მოვლა შენახვის, ვეტერინარული მომსახურების (მათ შორის ცოფის პროფილაქტიკური ვაქცინაცია) სამოქმედო გემა;

ბ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სათანადო მოთხოვნების შესაბამისად უზრუნველყონ ცხოველთა თავშესაფარის აშენება, საკარანტინო ვოლიერებისა და კრემატორიუმების მოწყობა;

გ) განახორციელონ უმეთვალყურეო და მიკედლებული ცხოველების ჰუმანური მეთოდებით ცხოველთა თავშესაფარში განთავსება და მათი რიცხოვნობის კონტროლი;

დ) უზრუნველყონ, როგორც მიუსაფარი, ასევე პატრონიანი ძაღლებისა და კატების სრული და სისტემური იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია და ვაქცინაციის განხორციელებაზე კონტროლი;

ე) დახმარება გაუწიონ სურსათის ეროვნულ სააგენტოს ცოფის ინფექციის კერაში კარანტინით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებაში, მათ შორის ვაქცინაციის მიზნით უპატრონო ცხოველების გამოჭერაში;

ვ) უზრუნველყონ ცოფით დაინფიცირებაზე და დაავადებაზე საექვო შემთხვევებში ცხოველების პოპულაციის რიცხოვნობის მართვა ჰუმანური მეთოდების გამოყენებით;

ზ) კომპეტენციის ფარგლებში ცნობიერების გაზრდის მიზნით უზრუნველყონ მოსახლეობაში საინფორმაციო კამპანიების ჩატარება;

თ) უზრუნველყონ ადამიანის დამზარალეულ ცხოველზე (უპატრონო, მიკედლებული) 10 დღიანი ზედამხედველობის განხორციელება